

ლაგოდების მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს

სხდომის

ოქმი №4

26.08.2020 წელი

ქ.ლაგოდეხი

სხდომის თავმჯდომარე: მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს
თავმჯდომარე- კარლო ჯამბურია

სხდომას ესწრებოდნენ:

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები(რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

დღის წესრიგი:

1. კომუნიკაციის სტრატეგიის დოკუმენტის შესახებ.

/ მომხს: ს. ღონღაძე/

2. გენდერული თანასწორობის საბჭოს ბიუჯეტის შესახებ.

/მომხს:ს. ღონღაძე/

3. სხვადასხვა.

მოისმინეს:

1. გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა განიხილეს ქალთა საერთაშორისო ცენტრისა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის (GIZ) მხარდაჭერის პროგრამის „კარგი ადგილობრივი თვითმმართველობა სამხრეთ კავკასიაში“ დახმარებით შემუშავებული კომუნიკაციის სტრატეგიის დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტის მიზანია, ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად გამოიყოს მთავარი მიმართულებები, რათა ყველა საკომუნიკაციო არხმა, საქმიანობამ, პროდუქტმა და მასალამ ჰარმონიულად იმუშაოს პოზიტიური ცვლილების მისაღწევად.

საკომუნიკაციო სტრატეგიის დოკუმენტი დაინტერესებულ მხარეებს და პარტნიორებს საშუალებას მისცემს შეიტანონ წვლილი და ერთობრივი ქმედებებით შეთანხმდნენ პოზიტიური ცვლილებების საუკეთესო გზებზე.

შეთანხმებული საკომუნიკაციო სტრატეგია, მუნიციპალიტეტისა და პარტნიორებისათვის არის გზამკვლევი, რომლითაც შეუძლიათ იხელმძღვანელონ პროგრამების შემუშავების სხვადასხვა ეტაპებზე.

2. გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა წარმოაყენეს სხვადასხვა ინიციატივა ბიუჯეტის ეფექტურად ათვისების მიზნით. ფრანგული სამედიცინო ცენტრის „კახეთი-იონის“ მხარდაჭერით შესაძლებელია მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის უფასო სამედიცინო კვლევების ჩატარება. საბჭოს ბიუჯეტიდან გამოიყო თანხა უფასო ტრანსპორტირებისათვის.

დაადგინეს:

1. კომუნიკაციის სტრატეგიის დოკუმენტი სათანადო პროცედურების გავლის შემდეგ დასამტკიცებლად გატანილი იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე.
2. მოსახლეობა ინფორმირებული იქნას უფასო სამედიცინო კვლევების თაობაზე გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივის შესახებ.
3. გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა ჩაინიშნეს სამუშაო შეხვედრა პანდემიასთან დაკავშირებულ თემატიკაზე ესეების კონკურსის გამართვის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარე:

მუნიციპალური გენდერული თანასწორობის


საბჭოს თავმჯდომარე :



/ კ. ჯამბურია /

მუნიციპალური გენდერული თანასწორობის

საბჭოს მდივანი:



/ თ. მუმლაძე /